პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 5 მარტი, 1950 წ. № 49 (8609). ფასი 20 კაპ.

კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას,— ჩვენი სამშობლოს უძლეველობის საწინდარს, საბჭოთა კავშირის ხალხთა დამოუკიდებლობისა და შემდგომი აყვავების ბურჯს. სანამ ჩვენში ხალხთა მეგობრობა არსებობს და მტკიცდება, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავება

დღეს „პრავდაში" ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომებისათვის, გამოგონებათათვის და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ. სტალინური პრემიების მინიჭება მკაფიოდ მოწმობს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით.

ისტორიულ სიტყვაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა თქვა:

— ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ჯეროვან დახმარებას გავუწევთ ჩვენს მეცნიერებს, ისინი შეძლებენ არა მარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დიდი სტალინის მიერ შთაგონებული საბჭოთა მეცნიერები დაუღალავად შრომობენ ამ ისტორიული ამოცანის შესასრულებლად. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო უხვად იძლევა სახსრებს ყოველგვარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფართო მშენებლობისათვის, რომლებიც საშუალებას აძლევენ მეცნიერებს გაშალონ თავისი ძალები.

საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით ახორციელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომ სტალინურ გეგმას. მიღწეულია და მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე, გადაჭარბებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ომამდელი დონე, განუხრელად მაღლდება მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის განუწყვეტელი ზრუნვის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირება, რაც ახლახან გატარდა.

სოციალისტური სამშობლოს ახალი წარმატებებისათვის, ეკონომიური და კულტურული პროგრესისათვის, მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი მოწინავე საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა. მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი დიდ წარმატებებს აღწევენ იმიტომ, რომ ისინი ხელმძღვანელობენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, რომელიც უნათებს მათ გზას კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა საზოგადოებაში მეცნიერება კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაყენებულია კომუნიზმის მშენებელი ხალხის სამსახურში. ჩვენი მეცნიერება, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარი. ჩვენი მოწინავე მეცნიერება ემსახურება ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით.

სულ სხვა მდგომარეობაშია მეცნიერება და ტექნიკა კაპიტალიზმის პირობებში. მეცნიერულ მიღწევებსა და ტექნიკურ გაუმჯობესებებს კაპიტალისტურ ქვეყნებში იყენებენ ახალი ომის მომზადების, ერთი მუჭა ექსპლოატატორების უფრო მეტად გამდიდრების, მშრომელთა უფრო მეტად დამონების მიზნით. იქ, კაპიტალის ქვეყნებში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ხალხის მასების შემდგომ გაღატაკებას, უმუშევართა არმიის ზრდას იწვევს.

სსრ კავშირში მეცნიერების ყველა მიღწევა მთელი ხალხის კუთვნილებაა. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში ამ მიღწევების ფართოდ დანერგვა უზრუნველყოფს განუხრელ ტექნიკურ-ეკონომიურ პროგრესს, შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებით გადაჭრას სახალხო მეურნეობის უდიდესი პრობლემები, დააჩქაროს ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, გამომგონებლები ბეჯითად შრომობენ ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების გადასაჭრელად, ახალი ტექნოლოგიისა და წარმოების ახალი მეთოდების შესაქმნელად.

1949 წლის სტალინური პრემიებით აღნიშნულია თვალსაჩინო ნაშრომები მეცნიერების უაღრესად სხვადასხვა დარგში, აგრეთვე თვალსაჩინო გამოგონებანი და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებანი. სტალინური პრემიის ლაურეატთა სახელოვან არმიას ემატება ახალი მრავალრიცხოვანი რაზმი, რომელშიც 1.285 მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწე და წარმოების ნოვატორია.

პრემიები მიენიჭა მეცნიერთა დიდ ჯგუფს, რომლებმაც მიაღწიეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების წარმატებით გადაჭრას ფიზიკა-მათემატიკის, ტექნიკის, ქიმიისა და გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა დარგში. დიდი მნიშვნელობა აქვთ ნაშრომებს ბიოლოგიის დარგში, რომლებსაც სტალინური პრემიები მიენიჭა. საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვით გამსჭვალულია მეცნიერული შრომები მედიცინის დარგში. ბევრ მეცნიერსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს მიენიჭა სტალინური პრემიები სასარგებლო წიაღისეულის ახალ საბადოთა აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის. სტალინური პრემიებით აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების მთელი რიგი ნაშრომები ჩვენი სამშობლოს ისტორიის, აგრეთვე უცხო ქვეყნების ისტორიის დარგში.

სტალინური პრემიების ლაურეატებს შორის ცნობილი მეცნიერების — აკადემიკოსების, პროფესორების — გვერდით ვხედავთ მუშებსა და ოსტატებს, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლნენ თანამედროვე ტექნიკას და მიაღწიეს შესანიშნავ წარმატებებს გამომგონებლობის და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესების დარგში. ეს არის მკაფიო გამოხატულება გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის საზღვრების წაშლის იმ პროცესისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ეს მოწმობს ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის სწრაფ და განუწყვეტელ ტექნიკურ პროგრესს.

საბჭოთა მეცნიერებმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან თანამეგობრობით დაამუშავეს მანქანების, ხელსაწყოების, აპარატების მთელი რიგი ახალი კონსტრუქციები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. შექმნილია გაუმჯობესებული კონსტრუქციები და ათვისებულია წარმოება ახალი სახის მეტალურგიული და საშახტო მოწყობილობის, ახალი ტიპის ტრაქტორების, ბამბისსაკრეფი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ახალი ტიპის თვითმფრინავების, ავტომობილებისა. შექმნილია ახალი მძლავრი ჰიდროტურბინები. გამოყვანილია ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვი, ახალი ძვირფასი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

სტალინური პრემიები მინიჭებულია აგრეთვე ახალი სახის სამრეწველო პროდუქციის წარმოების ათვისებისათვის, ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესებისა და შრომის ახალი, სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ნედლეულისა და მასალის ეკონომიას.

მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებანი. ისინი მოწმობენ ჩვენი მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენციის დიდ შემოქმედებითს აღმავლობას, იმას, რომ მეცნიერებასა და კულტურას ეზიარნენ მშრომელთა ფართო მასები. საბჭოთა ხალხი — შემოქმედი ხალხი, მშენებელი ხალხი — თავისი წიაღიდან წარმოშობს ნიჭიერ მეცნიერებს, წარმოების ნოვატორებს, კულტურის მოღვაწეებს, რომლებიც ახალ გზებს კაფავენ მეცნიერებასა და ტექნიკაში.

მეცნიერების მოღვაწეთა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა შეიცავს დაუშრეტელ რეზერვებს ჩვენი ეკონომიკის ყოველმხრივი და სწრაფი განვითარებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ფაქტი, რომელიც მოწმობს მეცნიერების აყვავებას ჩვენს ქვეყანაში, არის სტალინური პრემიების მინიჭება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებისათვის. იმათ შორის, ვისაც სტალინური პრემია მიენიჭა, ბევრია ქალები, რომლებიც საბჭოთა წყობილებამ გაათავისუფლა და რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ლაურეატთა შორის არიან სტალინური ეპოქის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭება მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დღესასწაულია. სტალინური პრემიების მინიჭება საბჭოთა ხალხს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და ყველაზე რევოლუციური მეცნიერების განვითარებისათვის სტალინური ზრუნვის გამოხატულებად მიაჩნია. მეცნიერების კორიფეს დიდი სტალინის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა მეცნიერებისა და წარმოების ნოვატორთა ყველა მიღწევა. დიდი სტალინი საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, გამომგონებლებს, წარმოების ნოვატორებს აღაფრთოვანებს შემოქმედებითი შრომისათვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მოღვაწის, წარმოების ნოვატორის პატრიოტული ვალია მეცნიერებისა და ტექნიკის აყვავებისათვის სტალინურ ზრუნვას უპასუხონ ახალი მეცნიერული ღვაწლით, ახალი შესანიშნავი მიღწევებით, არ დაჯერდნენ მიღწეულს, განუწყვეტლივ ვიარონ წინ და წინ — ასეთია ამოცანა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამომრჩევლებისადმი მიმართვაში, აღნიშნავს რა წარმატებებს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მიუთითებს, რომ კომუნისტური პარტია მიზნად ისახავს უახლოეს წლებში უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს საბჭოთა კულტურის დარგში. პარტია იბრძოლებს საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევებისათვის, განუხრელი ტექნიკური პროგრესისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდება ჩვენი ხალხი მთავრობის დადგენილებას მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში თვალსაჩინო ნაშრომების ავტორებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

მივესალმებით რა სტალინური პრემიების ლაურეატთა ახალ რაზმს, ვუსურვებთ ჩვენს მეცნიერებს, გამომგონებლებს, წარმოების ნოვატორებს ახალ შემოქმედებითს წარმატებას, დიადი სტალინური ეპოქის შესაფერის გამოგონებებსა და აღმოჩენებს!

„პრავდის" 4.III მოწინავე

ჭიათურის მაღაროელთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

ჭიათურა, 2 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მოწინავე მაღაროელები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან მებიგეები მ. ბ. ბუხრაშვილი, ი. ე. კენჭოშვილი, თ. ნ. თაბაგარი, ს. ა. გაბრიჩიძე, ვ. ს. იაკობიძე, კ. ს. ჩაჩანიძე და ვ. გ. ხვედელიძე, მბურღავი ი. ე. გურული, მარგანეცის ამწმენდები კ. გ. ლავთაძე და გ. გ. ჯიქიძე, ამფეთქებელი ტ. ლ. კვამლაძე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 63 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" 96 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 151 კაცი.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქი

ბაუმანის რაიონის ინტელიგენციის კრება

1 მარტს დედაქალაქის ბაუმანის რაიონის ბავშვთა კულტურის სახლის დარბაზში შეიკრიბნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები — მეცნიერები, მეცნიერი თანამშრომლები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი. ისინი შეიკრიბნენ, რათა გამოეთქვათ უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

ამ დარბაზში 1918 წლის 30 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ბაუმანის რაიონის მუშებს წაუკითხა მოხსენება „ორი ხელისუფლება (მუშების დიქტატურა და ბურჟუაზიის დიქტატურა)".

სცენაზეა ვლადიმერ ილიას-ძის ბიუსტი, მისი დიადი საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტი. დარბაზში გაკრულია ტრანსპარანტები და მოწოდებანი: „დიდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს— ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს!".

კრება გახსნა პარტიის ბაუმანის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ფ. იგნატოვმა.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, ქიმიის მანქანათმშენებლობის მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორს ამხ. ბ. კ. კლიმოვს.

—ჩვენ, ამომრჩევლებს,—ამბობს ამხ. კლიმოვი, — წილად გვხვდა დიდი ბედნიერება ხმა მივცეთ კაცობრიობის უდიდეს გენიოსს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს.

კრების მონაწილენი მქუხარე ოვაციას მართავენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

— საბჭოთა სახელმწიფოში მეცნიერება ემსახურება ხალხს, — განაგრძობს ამხ. კლიმოვი, — ხელს უწყობს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას.

სიტყვის დასასრულს ამხ. კლიმოვი დღეგრძელობას უსურვებს ამხანაგ სტალინს.

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ტრიბუნაზეა № 343 სკოლის დირექტორი ამხ. ა. ა. რიაბინინა.

— უდიდესი სიხარულით გამოვდივარ დღეს, — ამბობს იგი. — როგორ არ უნდა ვხარობდე, როგორ არ ვამაყობდე იმით, რომ ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ჩვენს სტალინის საარჩევნო ოლქში.

ჩვენ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში. დიდი და თვალუწვდენია ჩვენი სამშობლოს სივრცეები. იგი სულ უფრო მძლავრი და ძლიერი ხდება. ამხანაგი სტალინი ყოველთვის ხალხთანაა. რა საკითხზეც უნდა ვმუშაობდეთ, ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობას.

დასასრულ ამხ. რიაბინინა ლაპარაკობს იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი იჩენენ ხალხის კეთილდღეობისათვის.

შემდეგ სიტყვა ეძლევა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ამხ. გ. ხ. საბინინს.

იგი თავის სიტყვას უძღვნის მეცნიერების კორიფეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

— დიდი ლენინის შემდეგ მსოფლიოში არ ყოფილა და არ არის მილიონობით მშრომელთათვის ისე მახლობელი და მშობლიური სახელი, როგორიც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელია.

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, მისი ბრძნული ხელმძღვანელობით წავალთ მთელი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისაკენ.

კრებაზე გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა მარკოვის სახელობის ფაბრიკის ინჟინერმა ამხ. გ. დიომინამ. იგი ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება დღითიდღე უფრო საამური და ნათელი ხდება. საბჭოთა ადამიანების გული ალსავსეა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე სიყვარულით.

ლაპარაკობს რა თავის თავზე, ამხ. დიომინა ამბობს: — მე თვითონ წარსულში ფეიქარმა, უმაღლესი განათლება მივიღე და ახალი რთული დაზგებით აღჭურვილ საფეიქრო საამქროს ვხელმძღვანელობ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას ყველგან თან ახლავს მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა. ჩვენმა კოლექტივმა იკისრა ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — 12 მარტისათვის მხოლოდ ნედლეულის მომჭირნეობის ხარჯზე გეგმის გადამეტებით გამოუშვას საუკეთესო ხარისხის 10 ათასი მეტრი დეკორაციული ქსოვილი.

საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მთავრობისა და ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ მზრუნველობაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორმა ამხ. ს. დ. პონომარიოვმა.

— ჩვენ ვიცით, — თქვა მან სიტყვის დასასრულს,—რომ ჩვენი რჩეულნი საბჭოთა ქვეყანას წაიყვანენ სწორი გზით, ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი წარმატებებისაკენ. ისინი უზრუნველყოფენ სოციალისტური მეურნეობის შემდგომი განვითარების სტალინური გეგმების განხორციელებას.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკისათვის ხმის მიცემით, ამხანაგ სტალინისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში, კომუნიზმის აშენებას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებასა და აყვავებას.

კრებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა № 60 პოლიკლინიკის ექიმმა ლ. ა. ფეჩიშჩევამ.

მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა ბედნიერებაა სტალინურ ეპოქაში ცხოვრება და მუშაობა.

— ჩვენი ბელადის მთელი ცხოვრება ხალხისათვის გაწეული შესანიშნავი გმირობაა. საბჭოთა ინტელიგენციისათვის არ არსებობს იმაზე მეტი პატივი, რომ ეკუთვნოდეს კომუნიზმის მშენებელთა დიდ არმიას, რომელსაც ბრძნულ ხელმძღვანელობას უწევს ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა მთელ საბჭოთა ხალხს გულში აღუნთო ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა.

ამხ. ფეჩიშჩევა ლაპარაკობს უდიდეს აღფრთოვანებაზე, რომლითაც მშრომელნი შეეგებნენ მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების შესახებ.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ინჟინერმა ამხ. ვ. ვ. ტკაჩენკომ, რომელმაც ილაპარაკა ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის შესახებ.

საბჭოთა ადამიანების ხელში, რომლებსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები გუმბერაზული ნაბიჯებით გვაახლოებენ კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებთან, ამბობს ორატორი.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მისასალმებელი შეძახილები და ტაში.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში 1949 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ*

I

სტალინური პრემიები თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომებისათვის:

ე) ბიოლოგიის მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. **პავლოვსკის** ევგენი ნიკანორის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ადამიანის პარაზიტოლოგიის სახელმძღვანელო და მოძღვრება ტრანსმისიული სნეულების გამტანთა შესახებ."

2. **სკრიაბინს** კონსტანტინე ივანეს-ძეს, აკადემიკოსს, — 1947-1949 წლებში სამ ტომად გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ცხოველთა და ადამიანის ტრემატოდები".

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **ოკლადნიკოვს** ალექსი პავლეს-ძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **გრომოვის** მიხეილ ანტონის-ძეს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, **სინელნიკოვს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს პალეოლითური ადამიანის ჩონჩხის ნაშთებისა და მისი მატერიალური კულტურის საგნების აღმოჩენის, შესწავლისა და აღწერისათვის, რაც ჩამოყალიბებულია 1949 წელს გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომში „ტეშიკ ტაში" (პალეოლითური ადამიანი).

2. **შაპოშნიკოვს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ტექნიკური მიკრობიოლოგია".

მესამე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **გერასიმოვს** მიხეილ მიხეილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომის „თავის ქალის მიხედვით პირისახის აღდგენის საფუძვლები" და ადამიანის წინაპართა და ისტორიულ პირთა ფიზიკური სახის რეკონსტრუქციების შექმნისათვის.

2. **გლუშენკოს** ივანე ევდოკიმეს-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „მცენარეთა ვეგეტაციური ჰიბრიდიზაცია".

3. **ტოკინს** ბორის პეტრეს-ძეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ფიტონციდების ლაბორატორიის გამგეს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის.

ვ) სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგში

მესამე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ვანინს** სტეფანე ივანეს-ძეს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — მერქნის ალნაგობისა და ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა დარგში მეცნიერული გამოკვლევებისათვის, რაც განზოგადებულია 1949 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მერქნისმცოდნეობა".

ზ) მედიცინის მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემია 200.000 მანეთის რაოდენობით

1. **ბოგორაზს** ნიკოლოზ ალექსის-ძეს, ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის მეორე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს, — სამეცნიერო-კლინიკური გამოკვლევებისათვის, რაც განზოგადებულია 1948-1949 წლებში ორ ტომად გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „აღდგენითი ქირურგია".

2. **ჯანელიძეს** იუსტინე ივლიანეს-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიის პროფესორს,—1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ნატყვიარი ბრონქიალური ფისტულები".

მეორე ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **ანდრეევს** თევდორე ანდრიას-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და ექსპერიმენტული პათოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს,—შინაგან სნეულებათა ხანგრძლივი ძილით მკურნალობის მეთოდის გამოკვლევის შემუშავებისა და სამკურნალო პრაქტიკაში დანერგვისათვის, რაც გამოქვეყნებულია 1945-1949 წლებში მთავარი სამხედრო ჰოსპიტლისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში.

2. **ბუბლიჩენკოს** ლაზარე ივანეს-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეანო და გინეკოლოგიის ინსტიტუტის პროფესორს,—მეცნიერულ-კლინიკური გამოკვლევებისათვის მშობიარობის შემდგომ ინფექციურ დაავადებათა გამოკვლევების შესწავლის, დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის დარგში, რაც განზოგადებულია 1946-1949 წლებში გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომში „მშობიარობის შემდგომი ინფექცია".

3. **ივანოვ-სმოლენსკის** ანატოლი გიორგის-ძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის უმაღლესი ნერვული მოქმედების ევოლუციური ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის მოსკოვის განყოფილების გამგეს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოფიზიოლოგიის ნარკვევები".

4. **სტოიკოს** ნიკოლოზ გიორგის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ტუბერკულოზის ინსტიტუტის პროფესორს, — ფილტვების ტუბერკულოზის ოპერაციული მკურნალობის დარგში სამეცნიერო-კლინიკური გამოკვლევებისათვის, რაც განზოგადებულია 1949 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ფილტვების ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა".

თ) მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის დარგში

მეორე ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **შატელენს** მიხეილ ანდრიას-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „რუსი ელექტროტექნიკოსები".

მესამე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **ლუკიანოვს** პავლე მიტროფანეს-ძეს, მოსკოვის დ. ი. მენდელეევის სახელობის ქიმია-ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1948-1949 წლებში ორ ტომად გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „რუსეთის ქიმიური სარეწებისა და ქიმიური მრეწველობის ისტორია".

2. **სობოლს** სამუელ ლევის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „რუსეთში XVIII საუკუნეში მიკროსკოპისა და მიკროსკოპიულ გამოკვლევათა ისტორია".

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 48.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის შეხვედრა ამომრჩეველებთან ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1950 წლის 4 მარტს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ამხანაგ კ. ჩარკვიანის შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

ქალაქ თბილისის გერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 4 მარტს

ამხ. კ. ჩარკვიანის სიტყვა

გუშინ შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კონსტანტინე ნესტორის-ძე ჩარკვიანის შეხვედრა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან. საზეიმოდ მორთულ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ოლქში შემავალ საწარმოთა და კოლმეურნეობათა მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეები, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, დისახლისები.

კრების მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქის სოლოქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ეორგიაძვილმა

კრების მონაწილეებმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით სალამი მიაგეს ოლქის ამომრჩეველთა ერთსულოვანი ნებისყოფა, საყვარელი და ახლობელი. ამხ. ბურჭულაძე ლაპარაკობს ამ უდიდეს სხარულზე, რასაც განიცდიან მთელი საქართველოს და თბილისის მშრომელები იმის გამო, რომ თბილისს სტალინის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

შემდეგ ამხ. ბურჭულაძე ლაპარაკობს იმ მოღვაწეებზე, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა უკანასკნელი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარების დარგში, იმ ოფლზე, რაც ამ საქმეში მოუძღვის საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანში.

დასასრულ, ამხ. ბურჭულაძე ამბობს:

— ოლქის თვითეული ამომრჩეველი 12 მარტს მაღლობის გრანდიოზი აღსავსე მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო - სახალხო კანდიდატი დიდი სტალინის! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

შემდეგ სიტყვას იღებს თბილისის ბრიგადისაქმეო ფაბრიკის სტახანოველი ქალი ამხ. თ. კოპალეიშვილი.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — აცხადებს იგი,—დიდ სახალოვნებ განიცდის იმის გამო, რომ მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი. ამხანაგმა ჩარკვიანმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ვეცდებით ეს დიდი ნდობა თავდადებული შრომით გავამართლოთ. ფაბრიკის კოლექტივი ბირნთოლად შეასრულებს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას და 12 მარტს ვალმოხდილი მივა საარჩევნო ყუთთან, რათა ხმა მისცეს ჩვენს სახელოვან კანდიდატს ამხანაგ ჩარკვიანს.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. იგი ლაპარაკობს მეცნიერული მუშაობის მძლავრ აღმავლობაზე ჩვენს რესპუბლიკაში, იმ დიდ დახმარებაზე, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უწევს მეცნიერების მუშაკებს.

— საქართველოს მეცნიერებმა დამაგალეს, — ამბობს ამხ. მუსხელიშვილი, — მოგიწოდოთ ერთსულოვნად მისცეთ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატს, ჩვენს ხელმძღვანელსა და ამხანაგს კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

ლმანსის რაიონის XVII პარტიულობის სახლობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. შარუბანაშვილმა ლაპარაკა იმ ალმავლობაზე, რაც გამოიწვია რაიონის კოლმეურნეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ და რაიონის კოლმეურნეთა სახელით განაცხადა, რომ ისინი 12 მარტს ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის კანდიდატურას.

საბჭოთა კავშირის გმირმა, ბვარდიის კაპიტანმა ამხ. ონიშჩენკომ მოუწოდა ამომრჩეველებს ერთსულოვნად მისცენ ხმა ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ამხ. უ. ჯაფარიძემ ლაპარაკა ჩვენი ხელოვნების მიღწევებზე, იმ მზრუნველობასა და ყურადღებაზე, რასაც ხელოვნების მუშაკებს უწევს დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის ფრაადოსანმა სტუდენტმა ლ. ჯანაშიამ აღნიშნა, თუ რა შესანიშნავი პირობები შეუქმნეს პარტიამ და მთავრობამ ახალგაზრდობას წინსვლისა და განვითარებისათვის, მეცნიერების დაუფლებისათვის.

— ჩვენ, ახალგაზრდობა,—ამბობს იგი,—12 მარტს ერთსულოვნად მივცემთ ხმას ამხანაგ კ. ჩარკვიანს, ამით ხმას მივცემთ ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას კომუნიზმის გზით.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა ილო მოსაშვილმა. მან ლაპარაკა იმ მზრუნველობაზე და ეულისმოიერებაზე, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იჩენს მწერლებისადმი.

რუსთაველის თეატრის კოლექტივის სახელით გამოვიდა მსახიობი თ. თეთრაძე, რომელმაც მოუწოდა ოლქის ამომრჩეველს ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატობის კანდიდატს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს. ამომრჩეველი თავიანთ კანდიდატს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

კრებამ მიიღო მომართვა ოლქის ამომრჩეველებისადმი.

კრების მონაწილეებმა მქუხარე ტაშით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელზე.

ამხანაგებო!

უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისგებლობის შეგნებით ემზადებიან ამომრჩეველები ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისათვის. უფრო და უფრო ფართოდ ჩაიდება საარჩევნო კამპანია. უმაღლეს საბჭოში ყველგან დასახელებული არიან კომუნისტებისა და უპარტიოოების ბლოკის კანდიდატები. ეს მოწმობს კომუნისტებისა და უპარტიოების კავშირის ურყევ სიმტკიცეს, ძოელი ხალხის ერთგულებას თავისი სახელოვანი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიისადმი, თავისი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი. **(ტაში).**

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნები შედგა 1946 წლის თებერვალში. მთავარი შედეგი, რომლითაც მაშინ საბჭოთა ადამიანები არჩევნებს შეეგებნენ, იყო საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვება ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრებზე დიდ სამამულო ომში.

ჩვენი ხალხი მომავალ არჩევნებსაც ბრწყინვალე გამარჯვებით ეგებება. მათ შორის ახლა მთავარია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ფრონტზე მიღწეული გამარჯვება.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს ჩვენს მეურნეობას. ათასობით ქალაქი და სოფელი, ათეული ათასობით სწარამო, ზახტი, მტს-ი, საბჭოთა მეურნეობა დანგრეული იყო იმ ოლქებში, რომლებსაც ოკუპაცია განიცდეს. ომის შედეგებმა დიდი გავლენა მოახდინა იმ რაიონების მეურნეობაზეც, რომლებსაც სამარი მოქმედება უშუალოდ არ შეხებია.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში სავსებით სწორად არის ნათქვამი, რომ „ყოველი სხვა, თუნდაც ყველაზე დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო, ისეთი ზარალი რომ მოსვლოდა, უეჭველად ათეულ წლებით დაიხევდა უკან, აუცილებლად გადაიქცეოდა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ“.

ამ სიტყვების საიღუსტრაციოდ ეოცცხალ მაგალითს წარმოადგენენ ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები, ისეთები, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ნაწილი ინგლისისაც, რომელიც აქვე უნდა თქვას, ომში გაეცალებით ნაკლებ დაზარალდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები. ამ სახელმწიფოების სახალხო მეურნეობა არა თუ ვერ გაიმართა წელში ომის შემდეგ, არამედ სულ უფრო და უფრო დაბლა მიეკნარა, მიუხედავად „ყბადაღებული „მარშალის გეგმისა“ და ამერიკული წარმოშობის სხვა არანაკლებ საეჭვო „სამკურნალო საშუალებებისა“.

საბჭოთა ქვეყანას ეს არ მოსვლია. კრიზისებისაგან, წარმოების ანარქიისა და კაპიტალიზმის სხვა განუკურნებელი წყლულებისაგან თავისუფალმა ჩვენმა ქვეყანამ შეძლო ოთხ წელიწადში სავსებით აღმოეფხვრა ომის შედეგები და მნიშვნელოვნად გადაეჭარბებინა საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს 41 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის საერთო პროდუქციის. მიმდინარე ხუთწლიდში წარმოების განვითარების ტემპები იმდენად მაღალია, რომ გასული წლის დამლეგენისათვის სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებულ დონეს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს აგრეთვე გადააჭარბა ომამდელ დონეს.

სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდას თან სდევდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუჯობესება. საბჭოთა კავშირის საეთნალური შემოსავალი 1949 წელს 1940 წელთან შედარებით 36 პროცენტით გადიდდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში ალარ არიან კაპიტალისტები, მემამულეები და სხვა მეკეთაბრეები, რომლებსაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის უდიდესი წილი ხვდებათ, გასაგები გახდება ამ ფაქტის დიდი ბნიშვნელობა მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავალი 1949 წელს, შესადარ ფასებში, 1940 წელთან შედარებით, 24 პროცენტით გადიდდა, ხოლო გლეხების შემოსავალი — 30 პროცენტით და მეტით.

ეს მაღალი მაჩვენებლები ამ დღეებში უფრო უკეთესი გახდა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განხორციელებული ასეთნაირი ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირში, სადაც მშრომელთა ეკონომიდეოლოგიისათვის ზრუნვა პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის საბელმძღვანელო წესია, სადაც წარმოების მიზანია არა კაპიტალისტური მოგების მიღება, არამედ სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცება და მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება.

თავის ისტორიულ წინასაარჩევნო სიტყვაში 1946 წლის თებერვალში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღდგენილ-ნთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავეჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვნი ოდენობით“.

შემდეგ ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

„...განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საჭონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით...“.

როგორც ზედავთ, დიდი ბელადის ამ სპარეგრამო მითითებებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ. შემდეგი გარემოება, რომელიც ყველას გვახარებს, ეს არის ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მნიშვნელობისა და ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცება. ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა კავშირი ღირსეულად ასრულებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშრობის ბურჯის თავის ისტორიულ მისიას.

აი რატომ უცხადებს საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობას ყველა მის გამარჯვებათა ორგანიზატორს — ბოლშევიკურ პარტიას. აი რატომ წარმოთქვამს ხალხი მხურვალე სიყვარულითა და მადლობით, თავისი დიდი ქვეყნისათვის სიამაყით იმის სახელს, ვინც ლენინთან ერთად შექმნა და გამოსცდა საკავშირო კომენისტური პარტია და ვისი ეგნიც წარმართავს მთელ მის გიგანტურ მეშობას. — დიდი სტალინის სახელს. **(მქუხარე ტაში).**

ომისშემდგომ პერიოდში, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, წარმატებით წყვეტს სამეურნეო შშენებლობის ამოცანებს ჩვენი რესპუბლიკაც. მე თქვენს ყურადღებას არ დაველი მრეწველობის მეშობის შესახებ მონაცემების მოყვანით. ეს მონაცემები, სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების სახით, პრესაში ქვეყდება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ საკართველოს სოციალისტური მრეწველობა წარმოების გეგმებს ყოველწლიურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი შესანიშნავი მუშების, ჩვენი სპეციალისტების დამსახურებაა, რომლებიც ეუფლებიან ახალ ტექნიკას, იყენებენ ახალ, უფრო სრულყოფილ მეთოდებს და აღწევენ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ალმავლობას. წლითა-წლობით იზრდება საკართველოს ინდუსტრიული ძლიერება. ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ეწყობაზი ჩადგა მთელი რიგი ახალი საწარმოები და ორი „ჰიდროელექტროსადგურები. წარმატებით შენდება მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ქიმიური, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები.

მაგრამ ნაკლოვანებანი ჩვენი მრეწველობის მეშობაში და, განსაკუთრებით, სამრეწველო მშენებლობის დარგში ჯერ კიდევ ბევრია. უფრო მეტად უნდა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება ჩვენს საწარმოებში და გავაუმჯობესოთ ხუთწლეკის ხარისხი. საჭიროა მივაღწიოთ ჩვენი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის გეგმების აუცილებელ შესრულებას, ამისათვის იკ საჭიროა, რომ მშენებლობა „უზრუნველყოთ მუშა-ხელით, გავაუმჯობესოთ მისი მომარაგება საშენი მასალებით და უფრო ზუსტად მოეწყოთ მეშობა საშშენებლო მოედნებზე.

საკართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი თქვენთვის ცხობილია. უმნიშვნელოვანესი მთავანი ტექნიკური კულტურებისა და სიმინდის მოსავლიანობის თვალსაჩინო გადიდება. მარტო 1947-1948 წლების შედეგების მიხედვით უხვი მოსავლის მიღებისათვის სოფლის მეურნეობის 784 მეშაკს — კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს — მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამავე პერიოდში 5.500 კაცი, რომელებსაც უხვი მოსავალი მოიყვანეს, დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. სოფლის მეურნეობის მეშაკთა დიდი რაოდენობა წარდგენილია მთავრობის ჯილდოებზე 1949 წლის მიღწევებისათვის.

ყველაფერი ეს მოწმობს გადამწყვეტ თვისობრივ ძვრებს ჩვენი კოლმეურნეობების მეშაობაში. ჩვენმა კოლმეურნეობებმა ბრწყინვალედ გაუძლეს ომიანობის დროის მკაცრ განსაცდელს, კიდევ უფრო განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და სამეურნეო მხრივ. ახლა უფრო სრულად იჩენს თავს სოფლის მეურნეობაში წარმოების სოციალისტური წესის მაღალი ნაყოფიერება, საკოლმეურნეო წყობილების უდიდესი ცხოველმყოფელი ძალა.

ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის საქონლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. ამას მოწმობს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებათა გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, არამედ ჩვენს ქალაქებში საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქტების სიუხვეც.

1949 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 59.130 ტონა მარტო პირველი და მეორე ხარისხის ჩაი, ანუ 4.130 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, და 23.735 ტონა მეტი, ვიდრე 1940 წელს. ეს ჩვენი კოლმეურნე ვლეობის სეროიზული გამარჯვებაა. შარშან დამზადდა 707 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ამდენი ციტრუსები ჩვენ წინათ არასოდეს არ დაგვიმზადებია.

კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. 1949 წელს მარტო სახელმწიფო დამზადებებმა, რომლებიც არ აღიმატება კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარიადამო ნაკვეთებზე ყურძნის საერთო მოსავლის 30 პროცენტს, 56.200 ტონა შეადგინა. ეს 20.000 ტონით აღემატება 1940 წლის დამზადებებს და 12 ათასი ტონით—1948 წლის დამზადებებს.

საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს თამბაქოს. აფხაზეთში ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების ფართობის გადიდებასთან დაკავშირებით, ომის შემდეგ მოგვიხდა თამბაქოს ნარგავების ფართობის 5.000 ჰექტარით შემცირება. მაგრამ ამის თამბაქოს საერთო მოსავლის ოდენობაზე გავლენა არ მოუხდენია. მუშაობის კარგი ორგანიზაციის მეოხებით ჩვენ ახლა ვიღებთ და სახელმწიფოს ვაბარებთ გაცილებით მეტ თამბაქოს ნედლეულს, ვიდრე ომამდე. 1949 წელს მოსავლიდან დამზადდა 18.260 ტონა თამბაქო, რაც სახელმწიფო გეგმას აღემატება 4.260 ტონით და თამბაქოს ყველაზე მოსავლიანი წლის 1939 წელი დამზადებას — თითქმის ერთი ათასი ტონით.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა გეგმები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყველა სხვა სახის დამზადებათა დარგშიც. სოფლის მეურნეობის საქონლიანობის გადიდებამ გამოიწვია კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის გადიდება. საკმარისია ითქვას, რომ 1949 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის მწვანე ფოთლისათვის კოლმეურნეობებმა მიიღეს 423 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1945 წლის 136 მილიონი მანეთისა და 1940 წლის 84 მილიონი მანეთისა. თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებით მიღებულმა კოლმეურნეობათა შემოსავლებმა 179 მილიონი მანეთი შეადგინა, ნაცვლად 1945 წლის 126 მილიონი მანეთისა და 1940 წლის 49 მილიონი მანეთისა. სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ყურძენში კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1949 წელს მიიღეს 156 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1945 წლის 52 მილიონი მანეთისა და 1940 წლის 24 მილიონი მანეთისა.

კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავალი მნიშვნელოვნად გადიდდა მეურნეობის სხვა დარგებიდანაც.

(დასასრული მესამე გვერდზე)

ამხ. ქ. ჩარკვიანის სიტყვის დასასრული

თავის გამოსვლაში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს ამხანაგმა ბერიამ საქართველოს მშრომელთა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებზე.

„სერიოზული ამოცანები დგას აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში,—თქვა ამხანაგმა ბერიამ, — განსაკუთრებით ციტრუსებისა და ჩაის განვითარების დარგში. ცნობილია, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგი სტალინი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ეს ბევრ რამეს გვავალებს. სსრ კავშირში ჩვენ არსად არა გვაქვს ისეთი ფართო შესაძლებლობანი ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინისა და ჩაის საუკეთესო ჯიშების გასაშენებლად, როგორც საქართველოში“.

პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს არასოდეს არ დაუვიწყნიათ ამხანაგ ბერიას ეს სიტყვები. მათ მიაღწიეს ტექნიკური კულტურების დარგში მთელ გეგმიან დავალებათა შესრულებას. მაგრამ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის. უახლოეს წლებში უნდა უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩაის მხრივ, ავიყვანოთ ყურძნის ყოველწლიური დამზადება 100 ათას ტონამდე, თამბაქოსი—20 ათას ტონამდე, მივაღწიოთ მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით ხორბლის მოსავლიანობის გადამწყვეტ გადიდებას, უფრო ფართოდ განვავითაროთ ციტრუსოვანთა ნარგავები.

საჭიროა გაბედულად გამოვამჟღავნოთ და აღმოვფხვრათ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში ჯერ კიდევ არსებული დიდი ნაკლოვანებანი, რათა პირნათლად შევასრულოთ საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად პარტიისა და სახელმწიფოს საერთო ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზრუნვას ქალაქების კეთილმოწყობისათვის. ამიტომ ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო ჩვენი დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის ზოგიერთ საკითხს.

ახალი თბილისის მშენებელმა ამხანაგმა ბერიამ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1946 წლის 5 თებერვალს თქვა:

„საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობა დიდი და რთული საქმეა და ის მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა ვიქონიოთ“.

ახსოვთ რა ამხანაგ ბერიას ეს სიტყვები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, თბილისის პარტიული ორგანიზაცია და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ყოველდღიურად ზრუნავენ ქალაქის საჭიროებათათვის. განვლილ 4 წელში მარტო საქალაქო აღმასკომისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ხაზით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 50 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1949 წელს ქალაქმა 53 პროცენტით მეტი წყალი მიიღო, ვიდრე 1940 წელს. ელექტროენერგიის მიწოდებაც დიდად გაიზარდა.

4 წელიწადში ასფალტით დაფარულ იქნა ქუჩების 204 ათასი კვადრატული მეტრი სამგზავრო ნაწილი და 103 ათასი კვადრატული მეტრი ტროტუარი. ქვაფენილით და რიყისქვით ახლად მოიკირწყლა 83.600 კვადრატული მეტრი ფართობი.

მელიქიშვილის ქუჩის გაფართოებით ქალაქმა მიიღო სავსებით თანამედროვე მაგისტრალი, რომელიც უკანასკნელ წლებში გაზრდილ ვაკის რაიონს ცენტრალურ რაიონებთან აერთებს.

დიდი მუშაობა წარმოებს ახალი სანაპიროს მშენებლობისათვის, რასაც 1947 წლის თებერვალში შევუდექით. 3 წლის მანძილზე სანაპიროს საყრდენ კედლებში ჩაწყობილია 69 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და 650 მეტრზე მოეწყო ბაზალტის მოაჯირი.

ახლა ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვით შევეხო ზოგიერთ დიდ სამუშაოს, რომელთა განხორციელებაც განზრახულია უახლოეს ხანში და რომლებიც ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო კეთილმოწყობილსა და ლამაზს გახდიან.

მიმდინარე წლიდან ფართოდ ჩაღდება მუშაობა საბინაო მშენებლობისა და კულტურულ და ადმინისტრაციულ შენობათა აგებისათვის.

უახლოეს ორ წელიწადში დამთავრდება ახალი სანაპირო მთელ მანძილზე ყოფილი მეტეხის ციხიდან ორჯონიკიძის სახელობის პარკამდე, სადაც იგი გადაკვეთს ტელმანის ქუჩის გაგრძელებას. ამ მაგისტრალზე პირდაპირი მიმოსვლის უზრუნველსაყოფად ბარათაშვილის სახელობის ხიდი აწეულ იქნება თითქმის 2 მეტრით და სანაპირო აქ ბარათაშვილის ქუჩის ქვეშ გაივლის.

ელექტროენერგიით ქალაქის მომარაგების გასაუმჯობესებლად დაახლოებით 300 მეტრზე 300 არაგველის ხიდს ქვემოთ აშენდება ჰიდროელექტროსადგური. ამ მიზნით აგებული საგუბარი მტკვრის დონეს 12 მეტრით აამაღლებს. დონის ამაღლება ჩელუსკინელების ხიდამდე გავრცელდება. ამრიგად, ამ ჰიდროსადგურის აშენებით გზადაგზა წყდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მტკვრის დონის ამაღლების ამოცანა. მტკვრის კალაპოტი სანაპიროთა საყრდენ კედლებს შუა წყლით ავსებული იქნება წყლის ნაკლებობის პერიოდშიც. წყლის სიღრმე შესაძლებლობას მოგვცემს მდინარის ნაკვეთი 6 კილომეტრ მანძილზე წყლის სატრანსპორტო მაგისტრალად გამოვიყენოთ. თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას ქალაქისათვის, ეს განმარტებას არ საჭიროებს.

უახლოეს დღეებში დაიწყება მუშაობა ვაგზლის ქუჩის გასაფართოებლად. რეკონსტრუქციის შემდეგ მას 28 მეტრი სიგანე ექნება, ნაცვლად ახლანდელი 17 მეტრისა.

გაგრძელდება მუშაობა ახალი პარკების მშენებლობისა და არსებულთა გაუმჯობესებისათვის.

დიდი გაქანება ეძლევა თბილისის მიდამოებში ტყის გაშენების სამუშაოებს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ქალაქის გარშემო 500 ჰექტარზე მეტ ტყეს გავაშენებთ. უახლოეს 5 წელიწადში ქალაქის მომიჯნავე მიწებზე რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყის მასივები გაშენდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თბილისის წყალსაცავის ავსება, — გასაგები გახდება, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ სამუშაოებს ჩვენი ქალაქის ჰავის გაუმჯობესებისათვის. ტყის გაშენებითა და დიდი წყალსატევების შექმნით თავიდან აცილებული იქნება თბილისის მდებარეობის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები — მომიჯნავე მიწებზე მცენარეულობის უქონლობა და ტენის ნაკლებობა.

აი უახლოესი პერიოდისათვის თბილისის კეთილმოწყობის სამუშაოთა არასრული ჩამოთვლა.

მთელ ჩვენს წარმატებებს საქალაქო მეურნეობის დარგში უნდა ვუმადლოდეთ დიდი სტალინის ყურადღებასა და დახმარებას, მის განუწყვეტელ ზრუნვას საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისათვის. **(მქუხარე ტაში).**

თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ჩვენი საქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ხარვეზებია. საქალაქო და რაიონული აღმასკომების აპარატში ჯერ კიდევ არის საქმის გაჭიანურების და მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი უყურადღებობის ბევრი ფაქტი. ჯერ კიდევ ცუდად ვადევნებთ თვალყურს საქალაქო მეურნეობის ცალკეული ობიექტების, განსაკუთრებით საბინაო ფონდის შენახვას. ყველას მოგვიხდება ბეჯითად ვიმუშაოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ახალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ ჩვენი ხალხის სოციალისტური კულტურა, შემდგომ განვავითაროთ ქართული საბჭოთა მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ინტელიგენცია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ომისშემდგომ პერიოდში, ახალ, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს თავის მრავალმხრივ შემოქმედებითს მუშაობაში საბჭოთა ხალხის სადიდებლად.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან არჩევნებისათვის. ისინი ბედნიერი არიან იმით, რომ საქართველოში, თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში, კენჭს იყრის დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე — ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ბერიას სახელი ჩვენში მთელი ხალხის სიყვარულით არის გარემოსილი. ისევე, როგორც წინათ, ამხანაგი ბერია უმაღლეს საბჭოში მთელი ქართველი ხალხის წარგზავნილი იქნება. **(ტაში).**

საქართველოს მშრომელნი უსაზღვროდ მადლობელი არიან დიდი რუსი ხალხისა იმ ძმური დახმარებისათვის, რასაც იგი უწევდა და უწევს ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ხალხს. **(ტაში).**

მთელი ქართველი ხალხი მჭიდროდ დარაზმულია ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი მეგობრისა და მზრუნველი მამის — ამხანაგ სტალინის გარშემო. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მადლობა მოგახსენოთ თქვენ, თბილისის ბერიას სახელობის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, დიდი პატივისათვის, რაც მე დამდეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთელი ჩემი მუშაობით პარტიის დავალებათა შესასრულებლად, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულებით ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს! **(ტაში).**

დიდება პარტიისა და ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ხანგრძლივი ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში 1949 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

I) ისტორია-ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგში

მეორე ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

1. **ერუსალიმსკის** არკადი სამსონის-ძეს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „გერმანიის იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIX საუკუნის დამლევს“.

2. **ზუტისს** იან იაკობის-ძეს, პროფესორს, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, — 1946 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ოსტზეის საკითხი XVIII საუკუნეში“.

3. **კისელიოვს** სერგი ვლადიმერის-ძეს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „სამხრეთ ციმბირის ძველი ისტორია“.

4. **პასეკს** ტატიანა სერგის ასულს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ტრიპოლის დასახლებათა პერიოდიზაცია (III-II ათასი წელი ახალ წელთაღრიცხვამდე)“.

5. **სმირნოვს** ივანე ივანეს-ძეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — 1949 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „ბოლოტნიკოვის აჯანყება (1606-1607)“.

მესამე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

1. **პორშნევს** ბორის თევდორეს-ძეს, პროფესორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, — 1948 წელს გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისათვის „სახალხო აჯანყებანი საფრანგეთში ფრონდის წინ (1623-1648)“.

II

სტალინური პრემიები თვალსაჩინო გამოგონებათა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირითად გაუმჯობესებათათვის

პირველი ხარისხის პრემიები 150.000 მანეთის რაოდენობით

1. **ვოლკოვს** გრიგოლ ივანეს-ძეს, **როზენბლუმს** ლეონიდე მოსეს-ძეს, სამუშაოთა ხელმძღვანელებს, ბამბის დარგში სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრებს, **მარკოვს** მიხეილ ნიკიტას-ძეს, **ნეხოროშევს** ვლადიმერ დიმიტრის-ძეს, იმავე ბიუროს ინჟინრებს, **ნიზოვოის** გრიგოლ ტარასის-ძეს, „ტაშსელმაშის“ ქარხნის დირექტორს, — ბამბის საკრეფი მანქანის კონსტრუქციის შექმნისა და წარმოების ათვისებისათვის.

2. **გრაბინს** ვასილ გაბრიელის-ძეს, ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკს, მთავარ კონსტრუქტორს, **ლოქტევს** ლევ აბრამის-ძეს, **მურავიოვს** გრიგოლ ივანეს-ძეს, **როზენბერგს** მიხეილ მიხეილის-ძეს, ინჟინრებს — სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსტრუქტორებს, **მიხაილოვს** პავლე სერგის-ძეს, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკს, — შეიარაღების დარგში მუშაობისათვის.

3. **ილიუშინს** სერგი ვლადიმერის-ძეს, საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტს, მთავარ კონსტრუქტორს, — თვითმფრინავმშენებლობის დარგში მუშაობისათვის.

4. **კალამქაროვს** ვართან ალექსანდრეს-ძეს, სამუშაოთა ხელმძღვანელს, სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის მინისტრის მოადგილეს, **ბაირაკს** კონსტანტინე ალექსის-ძეს, **კუვიკინს** სტეფანე ივანეს-ძეს, **ტროფიმუკს** ანდრია ალექსის-ძეს, გაერთიანება „ბაშნეფტის“ ინჟინრებს, **გუბინს** ალექსანდრე დიმიტრის-ძეს, **პლატონოვს** ბორის მათეს-ძეს, ტრესტ „ცენტროსპეცსტროის“ ინჟინრებს, **გალონსკის** პავლე პეტრეს-ძეს, **ზოლოევს** თათარხან მაჰომედის-ძეს, **მიხაილოვსკის** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს, ტრესტ „ტუიმაზანეფტის“ ინჟინრებს, **მაქსიმოვიჩს** გენადი კონსტანტინეს-ძეს, **მაქსიმოვს** მიხეილ ივანეს-ძეს, **მუშინს** არონ ზინობის-ძეს, **კიფსარს** გიორგი თევდორის-ძეს, სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს ინჟინრებს **შჩელკაჩოვს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, მოსკოვის ი. მ. გუბკინის სახელობის ნავთის ინსტიტუტის პროფესორს, — ტუიმაზის ნავთის საბადოს ნავთიანობის მნიშვნელოვანი გადიდების ახალი მეთოდის დამუშავებისა და ათვისებისათვის.

5. **კოვალიოვს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, ი. ბ. სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის ჰიდროტურბინების მთავარ კონსტრუქტორს, **გრანოვსკის** სიმონ აბრამის-ძეს, იმავე ქარხნის ჰიდროტურბინების მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, **ანოსოვს** თევდორე ვასილის-ძეს, **ბუგრინს** სერგი კონსტანტინეს-ძეს, **გარკავის** იუდელ ელიას-ძეს, **ორგოს** ვიქტორ მარკოზის-ძეს, **ორლოვს** ივანე ვასილის-ძეს, **უსტინოვს** ბორის მიხეილის-ძეს, იმავე ქარხნის ინჟინრებს, — ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპრჰესისათვის 102.000 ცხენძალის სიმძლავრის ახალი გაუმჯობესებული ჰიდროტურბინების კონსტრუქციათა შემუშავების, დამზადებისა და ამუშავებისათვის.

6. **კრეიცერს** ვიქტორ ლეონიდეს-ძეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, **ვორონოვს** ალექსანდრე ვლადიმერის-ძეს, **კოდესს** პეტრე ექვთიმეს-ძეს, **მიგაჩოვს** ვსევოლოდ ივანეს-ძეს, იმავე ინსტიტუტის ინჟინრებს, **ლებედევ-კარმანოვს** ანდრია ივანეს-ძეს, **ბრაუდეს** ბორუხ ვულფის-ძეს, **ვანატოვსკის** როსტისლავ ვლადიმერის-ძეს, **კუპრიანოვს** ნიკოლოზ სერგის-ძეს, ინჟინრებს, **კაზანსკის** გიორგი პეტრეს-ძეს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს, **ნოვაკოვსკის** სერგი ვასილის-ძეს, მოსკოვის სატელევიზიო ცენტრის მთავარ ინჟინერს, — მაღალი სიზუსტის ახალი მაღალხარისხოვანი სატელევიზიო გადამცემი სისტემის შექმნისათვის.

7. **ნაიმუშინს** ივანე ივანეს-ძეს, სამუშაოთა ხელმძღვანელს, მშენებლობის უფროსს, **ვასილიევს** ანატოლი თევდორეს-ძეს, მშენებლობის მთავარ ინჟინერს, **ვლადიმიროვს** საფრონ მიხეილის-ძეს, **დესფონტეინესს** ნიკოლოზ პეტრეს-ძეს, **ზაპრუდნოვს** მიხეილ ვასილის-ძეს, **ზემცოვს** ანდრია სტეფანეს-ძეს, **კურაევს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, **მედვედევს** სტეფანე რომანის-ძეს, **მოჟევიტინოვს** ალექსანდრე ლეონიდეს-ძეს, **პოპოვს** კონსტანტინე მიტროფონეს-ძეს, **რადეცკის** რომან კონსტანტინეს-ძეს, **სავჩენკოს** ალექსი პორფილეს-ძეს, ინჟინრებს — ჰიდროსადგურის პროექტის დამუშავებისა და აგებისათვის.

8. **რაბინოვიჩს** აბრამ მიხეილის-ძეს, დამუშავების მთავარ კონსტრუქტორს, **აზუჩენკოვს** სერგი ნიკოლოზის-ძეს, **ზავოროტიშჩევს** სერგი პავლეს-ძეს, **მანტეიფელს** იური ალექსანდრეს-ძეს, **პერეცს** რუვიმ იოსების-ძეს, **სამარინს** ვიაჩესლავ ვიქტორის-ძეს, **სმირნოვს** საბა ალექსის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინრებს, **კურაკინს** კუზმა ლავრენტის-ძეს, ამავე ინსტიტუტის დირექტორს, **ბატრაკოვს** ალექსანდრე დანილის-ძეს, ინჟინერ-მაიორს — სამხედრო ტექნიკის დარგში მუშაობისათვის.

9. **ხიმიჩს** გიორგი ლუკას-ძეს, ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის ინჟინერს, სამუშაოთა ხელმძღვანელს, **არხიპოვს** ალექსი ვლადიმერის-ძეს, **ვასილევსკის** პავლე ფადეის-ძეს, **ერემეევს** ნიკოლოზ ბენიამინის-ძეს, **კრაუზეს** გენადი ნიკოლოზის-ძეს, **მანკევიჩს** ნიკოლოზ კონდრატის-ძეს, **პავლოვს** ბორის გაბრიელის-ძეს, იმავე ქარხნის ინჟინრებს, **დიმკანტს** თევდორე არქიპის-ძეს, იმავე ქარხნის უფროს ოსტატს, **რიბალჩენკოს** ალექსანდრე მაქსიმეს-ძეს, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსს, **პოპოვს** ვლადიმერ არტემის-ძეს, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარ ტექნოლოგს, **არისტოვს** გიორგი პავლეს-ძეს, **ნოვოსადს** როსტისლავ ფილიპეს-ძეს, სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინრებს,—საბჭოთა სარელსო დაზგის შექმნისათვის.

10. **შტირევს** ექვთიმე სიმონის-ძეს, სამუშაოთა ხელმძღვანელს, **მატორიანს** ნიკოლოზ ალექსის-ძეს, **კამენსკის** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, **დომბროვსკის** ივანე ივანეს-ძეს, მეცნიერ თანამშრომლებს, — კავშირგაბმულობის დარგში მუშაობისათვის.

(გაგრძელება იქნება)

ნ. სტურუა
თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქი

საქართველოს დედაქალაქის ოთხი რაიონი — ლენინის, სტალინის, მოლოტოვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონები შედიან კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

ლენინის რაიონი ოლქის სხვა რაიონებზე ახალგაზრდაა.

ამ რაიონის ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.

„ნაძალადევი“ — ასე უწოდეს მეფის სატრაპებმა ამ რაიონს, რომელიც თბილისის მაშინდელი ქალაქის მმართველობის ნებადაურთველად დასახლებული იყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებით.

ოლქის რაიონებიდან უძველესია ის რაიონი, რომელიც 26 კომისრის სახელს ატარებს.

ამ რაიონის ნაწილს ძველად ჯერ ისანი, ხოლო შემდეგ ავლაბარი ერქვა.

მრავალსაუკუნოვანი და გმირული ისტორია აქვს თბილისს, იგი 1500 წელზე მეტი ხნისაა. თბილისს ბევრჯერ შემოსევიან დამპყრობლები, რომლებსაც არაერთხელ ნაცარტუტად უქცევიათ ქალაქი და თითქმის პირწმინდად გაუჟლეტიათ მისი მოსახლეობა. ქართველი ხალხი გმირულად იცავდა თავის დედაქალაქს, ათავისუფლებდა მას დამპყრობთა უღლისაგან და კვლავ აღადგენდა ნანგრევებიდან.

სახელოვანი ისტორია აქვს თბილისს. შესანიშნავია მისი გმირული რევოლუციური წარსული.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში ბევრია ბოლშევიკური პარტიის ბელადის დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილი.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპო, რომელიც რევოლუციამდელი საქართველოს ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმო იყო. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები, ამხანაგ სტალინის მიერ დარაზმულნი, რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში იბრძოდნენ.

ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების ტერიტორიაზე 1901 წლიდან 1906 წლამდე იყო სამი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. ერთი მათგანი — ავლაბრის ბოლშევიკური სტამბა — ყოფილ რუსეთის იმპერიაში ყველაზე დიდი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა იყო.

ამავე ტერიტორიაზეა:

სახლი, სადაც ამხანაგი სტალინი ამეცადინებდა თბილისის რკინიგზელ მუშათა პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეს;

შენობა თბილისის ყოფილი ფიზიკური ობსერვატორიისა, სადაც 1899 წლის დეკემბრიდან 1901 წლის მარტამდე მუშაობდა და ცხოვრობდა ამხანაგი სტალინი;

თბილისის ყოფილი ცხენის რკინიგზის პარკი სტალინის რაიონში. ამხანაგ სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით ცხენის რკინიგზის მუშები აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

ადგილები თბილისის მუშათა პირველი საპირველმაისო დემონსტრაციებისა ღრმაღელეში (1899 წ.) და მლაშე ტბის რაიონში (1901 წ.);

სახლი 26 კომისრის სახელობის რაიონში, სადაც მოეწყო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის პირველი კონფერენცია (1901 წ.).

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა ისტორიული ადგილები (სახლები, ქუჩები, მოედნები, რაიონები), მოწმენი გმირული ბრძოლისა, რომელსაც ეწეოდა ამიერკავკასიის სახელოვანი ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ნაძალადევი (ამჟამად ლენინის რაიონი) და დიდუბე (ამჟამად სტალინის რაიონი) რევოლუციამდე თბილისის სამრეწველო, პროლეტარული რაიონები იყვნენ. აქ თავმოყრილი იყო მეტი წილი სახელოსნო-სამრეწველო საწარმოები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ რაიონების მოსახლეობა ყველაზე რევოლუციური იყო. ამიტომ ამხანაგი სტალინი მეტ ყურადღებას უთმობდა ამ რაიონებს, ამ რაიონების მოსახლეობაში მუშაობას.

სტალინის საარჩევნო ოლქში ბევრია ისეთი ამომრჩეველი, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ამიერკავკასიაში მუშაობის წლებში რაზმავდა ძველი წყობილების წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შორის ბევრია მონაწილე თბილისის მუშათა რევოლუციური ბრძოლებისა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში.

ჩვენი საარჩევნო ოლქის ბევრ ამომრჩეველს მოუსმენია ახალგაზრდა სტალინის მგზნებარე სიტყვები მეფის თვითმპყრობელობისა და მისი აგენტების — ანარქისტების, ესერების, ფედერალისტებისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

რევოლუციამდე როგორც კეთილმოწყობის, ისე კულტურულ დაწესებულებათა რაოდენობის მხრივ ყველაზე ჩამორჩენილი იყვნენ ის რაიონები, რომლებიც ახლა სტალინის საარჩევნო ოლქში შედიან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირეულად იცვალა სახე მისმა დედაქალაქმა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე გაყვანილია ახალი ქუჩები, მოწყობილია მოედნები, პარკები, აშენებულია ხიდები, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები და საცხოვრებელი სახლები.

მაგრამ თბილისელები მარტო ამით როდი ამაყობენ.

მოკლე ხნის განმავლობაში თბილისი საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო ინდუსტრიულ ცენტრად გადაიქცა.

თბილისის წინათ ჩამორჩენილი რაიონები, რომლებიც ამჟამად სტალინის საარჩევნო ოლქში შედიან, ძირითად სამრეწველო რაიონებად გადაიქცნენ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე აშენებულია: კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, სამსხმელო-მექანიკური ქარხანა „ცენტროლიტი“, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა, შამპანური ღვინოების კომბინატი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, მარგარინის ქარხანა, წისქვილკომბინატი, მაკარონის ფაბრიკა, პლასტმასის ქარხანა, ლოკომოტივ-სარემონტო ქარხანა და ბევრი სხვა საწარმო.

კაპიტალურად რეკონსტრუირებული და გაფართოებულია: № 1 სამკერვალო ფაბრიკა, თბილისის ხორცკომბინატი, ზეთსახდელი ქარხანა და ბევრი ძველი საწარმო, რომლებიც ისე გაიზარდნენ და იმდენად იცვალეს სახე, რომ ძველი მხოლოდ სახელწოდება შერჩათ.

საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა უმაღლესი სასწავლებლები (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი), ბევრი სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულება, სპეციალური სასწავლებლები, ტექნიკუმები და სკოლები.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში თბილისის საწარმოები და პირველ რიგში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოები თითქმის მთლიანად ჩვენი გმირული ფრონტისათვის მუშაობდნენ და მტერზე გამარჯვების დღეს აახლოებდნენ.

თბილისელი მეომრები მუსრს ავლებდნენ ჰიტლერელ ავაზაკებს სამამულო ომის ფრონტების ყველა უბანზე, ხოლო ათასობით მათგანი მონაწილეობდა გერმანელი ფაშისტი მხეცების ბუნაგზე მიტანილ იერიშში.

დიდი მიღწევებია მოპოვებული ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საარჩევნო ოლქის ზოგიერთმა საწარმომ — № 1 საკონდიტრო ფაბრიკამ, ქაღალდის ფაბრიკამ და სხვ. — უკვე 1949 წელს გადააჭარბა პროდუქციის გამოშვების იმ დონეს, რაც ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის არის გათვალისწინებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის ამბავს საბჭოთა ხალხი სიხარულით შეეგება. ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა გაშალეს ტრადიციული წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება. კამვოლ-მაუდის ფაბრიკა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, თბილისის საორთქლმავლო დეპო, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატი, ზეთსახდელი ქარხანა, № 1 სამკერვალო ფაბრიკა, № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკა და საარჩევნო ოლქის სხვა საწარმოები აღებულ ვალდებულებათა დონეზე მუშაობენ და ყოველდღე ზრდიან მუშაობის ტემპს.

წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე რიგებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წარჩინებული სტახანოველები — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელი ამხ. კ. ილურიძე და კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მჭედელი ამხ. ვ. კორძაძე, სტახანოველები: კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ზეინკალ-ამწყობი ა. ბინდიანიშვილი, ქარხანა „დაზგის“ ზეინკალ-ამწყობი გეჯაძე, 26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატი ხანდოლიშვილი, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ ნაქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწე ხარიტონაშვილი, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ხარატი თვარაშვილი, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მეყალიბე წიქარაძე, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომჭრელი ყუფარაძე, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მფთილავი ბუბულაშვილი და კიროვის სახელობის ქარხნის მხეხავი ვდოვინა, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

საარჩევნო კამპანიამ მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის დიდი აღმავლობა გამოიწვია. რამდენიმე ათასი აგიტატორი ყოველდღე ეწევა აგიტაციას მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსწავლეებს, პენსიონერებსა და დიასახლისებს შორის. სტალინის საარჩევნო ოლქის 205 საარჩევნო უბანთან მოწყობილია აგიტპუნქტები. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობისათვის გამოყოფილია 4.225 კაცი აგიტპუნქტების გამგეები და აგიტატორები საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში არჩეულია 1.755 კაცი.

აგიტპუნქტები და საარჩევნო უბნები მოწყობილი და გაფორმებულია. გამოკრულია ამომრჩეველთა სიები. აგიტპუნქტები უზრუნველყოფილია ლიტერატურითა და თვალსაჩინოებით. აგიტპუნქტებში აგიტატორებისათვის ეწყობა სემინარები და ამომრჩევლებისათვის ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები. მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, გამოდის კედლის გაზეთები.

აგიტპუნქტები აწყობენ ექსკურსიებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში და ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში, აგრეთვე საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეების ამსახველი პიესებისა და კინოფილმების კოლექტიურ ნახვას.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

იაპონიის რადიომ, ხოლო მის შემდეგ ინგლისის რეიტერის სააგენტომ გაავრცელეს ცნობა, რომ სსრ კავშირიდან რეპატრიირებულთა რიცხვიდან ვიღაც ყოფილმა სამხედრო ტყვემ იაპონიის პარლამენტში განაცხადა, თითქოს იაპონიის კომპარტიის თხოვნით საბჭოთა მთავრობამ შეაჩერა იაპონელ სამხედრო ტყვეთაგან „რეაქციული ელემენტების" რეპატრიაცია.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს სულელური ცნობა ბოროტი მონაჭორია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და უნგრეთის სავაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ა. წ. 1 მარტს ხელმოწერილ იქნა ოქმი სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1950 წელს საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

ისწრაფვიან რა განახორციელონ საქონელბრუნვის შემდგომი გაფართოება, მხარეები შეთანხმდნენ 1950 წელს საქონლის ურთიერთ მიწოდების მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდების შესახებ.

მიღწეული შეთანხმების შედეგად სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის საქონელბრუნვა 1950 წელს, 1940 წელთან შედარებით, 20 პროცენტით და მეტით გადიდდება.

საბჭოთა კავშირი უნგრეთს მიაწოდებს ბამბას, რკინის მადანს, კოქსს, ლითონებს, სამრეწველო მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხე-ტყის მასალას და სხვა საქონელს, რაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ესაჭიროება.

უნგრეთი სსრ კავშირს მიაწოდებს სამრეწველო მოწყობილობას, ორთქლმავლებს, ვაგონებს, კარჭაპებს, ქსოვილებს და სხვა საქონელს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრიდან — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მ. ა. მენშიკოვმა, უნგრეთის მხრიდან — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა შანდორ რონაიმ. (საკდესი).

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲠᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ქალაქ ბანიის (სენის დეპარტამენტი) მშრომელთა მასობრივ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში მორის ტორეზმა აღნიშნა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა მანეთის კურსის ოქროს ბაზაზე გადაყვანისა და უცხოეთის ვალუტების მიმართ მანეთის კურსის გადიდების შესახებ.

„საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და მშრომელი მასების საარსებო დონის მუდმივი გაუმჯობესების რა შესანიშნავი ილუსტრაციაა! — განაცხადა ტორეზმა. — მაშინ როდესაც კაპიტალიზმის ძველი სამყარო წინააღმდეგობებში გაიხლართა და გამოსავალს მხოლოდ საშინელ ომში ხედავს, სოციალიზმის სამყარო ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის უპირატესობას და ეფექტიანად უწყობს ხელს მშვიდობის დაცვას".

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲤᲘᲪᲣᲚᲘᲐ 350 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲚᲘᲗᲝᲜᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 მარტი. (საკდესი). პრესის ცნობებით, გუშინ მდინარე სამბრის ველში (ნორის დეპარტამენტი) გაფიცვა გამოაცხადა მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის 30 ათასმა მუშამ, მოზელის დეპარტამენტის 7 ათასმა მეტალურგმა, ქალაქ კრეის (უაზის დეპარტამენტი) 7 ათასმა მეტალურგმა და მელითონემ, ქალაქ ლიონის 6 ათასმა მელითონემ. საფრანგეთის მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის გაფიცულ მშრომელთა საერთო რიცხვმა ამჟამად 350 ათას კაცს გადააჭარბა.

როგორც მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში, ისე სხვა დარგების საწარმოებშიც მუშები კვლავ კენჭს უყრიან საკითხს გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ქვემო რაინის დეპარტამენტის მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის მუშათა 95 პროცენტმა უკვე აზრი გამოთქვა გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. კენჭისყრა გრძელდება.

გაფიცვის გამოცხადების შესახებ პარიზის რაიონის დამზღვევი კომპანიების მოსამსახურეთა შორის ჩატარებული გამოკითხვის პირველი შედეგის თანახმად, მოსამსახურეთა 70 პროცენტმა მოიწონა გაფიცვის გამოცხადება. კენჭისყრა მიმდინარეობს საფრანგეთის ელექტროსადგურებისა და გაზის ქარხნების მუშებს შორის. გაფიცვის გამოცხადებას მხარი დაუჭირა პარიზის მეტროს მუშების 82 პროცენტმა.

ამჟამად პარიზის რაიონში გაფიცული არიან მშენებლები 130 მშენებლობაზე. 24 საათის განმავლობაში გაფიცული იყო მარსელის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა 7 ათასი მუშა. ხანმოკლე გაფიცვები მოეწყო საფრანგეთის მთელი რიგი ქალაქების სხვა საწარმოებშიც.

მთელმა რიგმა მუნიციპალურმა საბჭოებმა გადაწყვეტილება მიიღეს გაფიცულთა და მათი ოჯახების უფასო კვების შესახებ. მაგალითად, ქალაქ არჟანტეის (სენისა და უაზის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო ამ მიზნისათვის გადაიდოს 5 მილიონი ფრანკი. ქალაქ ივრის (სენის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ გამოყო 3 მილიონი ფრანკი. ქალაქ ვილჟუიფის (სენის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცულ მშრომელთა ოჯახების უფასო კვების შესახებ. ქალაქ კაშანის (სენის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ გაფიცულთათვის დახმარების გასაწევად გადაიდო 300.000 ფრანკი. ბევრ საწარმოში, რომელთა მუშები განაგრძობენ მუშაობას, აგროვებენ სახსრებს გაფიცულთა დახმარების ფონდისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲰᲘᲣᲚᲔᲢ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲡ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ლონდონში გამოაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეერთებულ შტატებში შესვლის ნება არ დართო კენტერბერის ტაძრის წინამძღვარს დოქტორ ჰიულეტ ჯონსონს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა წინადადება მისცა ამერიკის საელჩოს ლონდონში უარი უთხრას ჯონსონს ვიზის მიცემაზე.

ჯონსონი არის წევრი „მშვიდობის დელეგაციისა", რომელმაც ამერიკის კონგრესს უნდა გადასცეს მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კონგრესის წინადადებანი.

Ი. Ა. ᲛᲐᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა 2 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ლონდონიდან მივიღე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, ათენში გამოქვეყნებული უმაღლესი სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილებით, საბერძნეთის დემოკრატიულ პროფკავშირთა მოღვაწეებს ამბატელოსს, გალატისს, დიაკრუსისს, ტომოიანაკისს, კოლიარაკისს, კაცანისს, ბეკაკოსსა და რეიპისისს საბოლოოდ უთხრეს უარი აპელაციებზე და მათი სიკვდილის განაჩენი დაადასტურეს. შეიქმნა საფრთხე, რომ ამ პირთ დაუყოვნებლივ დასჯიან სიკვდილით, ისე როგორც უკვე დასაჯეს პროფკავშირთა სხვა ხელმძღვანელები — დიმიტრიუ და გეორგიუ. 16 თვის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევამ უზრუნველყო ამ პირთა სიკვდილით დასჯის გადადება.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ თქვენ, ბ-ნო ლი, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა დაცვის საკითხისადმი გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის მიდგომის შესაბამისად, ღონიმიღოთ ხმა სიკვდილმისჯილი ბერძენი პროფკავშირული მოღვაწეების (ამბატელოსის, გალატისის, დიაკრუსის, ტომოიანაკისის, კოლიარაკისის, კაცანისის, ბეკაკოსისა და რეიპისისის) დასაცავად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით მიიღოთ სათანადო და სასწრაფო ღონისძიებანი საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა სიკვდილით დასჯის თავიდან ასაცილებლად და მათი სიცოცხლის გადასარჩენად".

ანალოგიური შინაარსის დეპეშა ი. ა. მალიკმა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის თავმჯდომარეს რომულოს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲯᲐᲨᲣᲨᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲚᲐ, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ პრაღაში სახელმწიფო სასამართლოში დაიწყო მოსმენა 13 უცხოელი ჯაშუშისა და ჩეხოსლოვაკიელი მოღალატის საქმისა, რომლებიც უცხოეთის იმპერიალისტურ დაზვერვათა დავალებით ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. ჯაშუშთა ამ ჯგუფს სათავეში ედგა ფირმა „რაიონ ტრედინგ კომპანის" დირექტორი, ჰოლანდიელი ჯაშუში ი. ა. ლოუვერსი და ამ ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ი. ბაერა.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო ჯაშუშთა ჯგუფის ორგანიზატორის ლოუვერსის დაკითხვა. სხდომის დარბაზში ესწრებოდა ხუთი წარმომადგენელი ჰოლანდიის მისიისა ჩეხოსლოვაკიაში.

უცხოეთის დაზვერვის აგენტი ლოუვერსი მისთვის წარდგენილი მამხილებელი საბუთების ძალით იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იგი დიდხანს იყო ჩეხოსლოვაკიაში და თვითონ და თავისი აგენტურის დახმარებით ეკონომიურ ჯაშუშობას ეწეოდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის რეაქციასთან და საზღვარგარეთ გაქცევაში ეხმარებოდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის მთელ რიგ მტრებს. ლოუვერსმა აჩვენა, რომ ბევრ ჩეხოსლოვაკიელ მოღალატეს საზღვარგარეთ გაქცევაში ეხმარებოდნენ ჰოლანდიის მისიის პასუხისმგებელი წარმომადგენლები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საელჩოები და კანადის მისია, რომელთა წარმომადგენლებთან იგი, ლოუვერსი, დაკავშირებული იყო თავისი მეგობრისა და თანამეფირმის, ჰოლანდიის ყოფილი პრაღელი კონსულის შეილის დორონის საშუალებით, რომელიც ინგლისის ინფორმაციის ცენტრალურ ბიუროში მსახურობდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ

ᲝᲢᲝ ᲒᲠᲝᲢᲔᲕᲝᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა ადნის სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პასუხი გასცა კორესპონდენტის მიერ საბჭოთა საკონტროლო კომისიის იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიცემულ მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც მოყვანილია არმიის გენერალ ჩუიკოვის ამა წლის 27 თებერვლის წერილში.

როგორც გროტევოლმა აღნიშნა, გადაწყვეტილება გერმანული ინსტანციებისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიების რეგისტრაციის ფუნქციისა და ბეჭდვითი გამოცემების ლიცენზირების გადაცემის შესახებ ახალი დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის შორსმჭვრეტელი პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცეს ყველა სამმართველო და ადმინისტრაციული ფუნქცია, თვითონ კი დაიტოვოს მხოლოდ კონტროლის უფლება.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რას ნიშნავს და რა მიზანს ისახავს პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაცია, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა:

„პოტსდამის შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკური დემოკრატიული პარტიების არსებობას. პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად ყოფილმა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ, როგორც პირველმა საოკუპაციო ორგანომ გერმანიაში, 1945 წლის ივნისში გამოსცა № 2 ბრძანება ანტიფაშისტური დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაშვების შესახებ, რაც სამმა დასავლეთმა სახელმწიფომ დაახასიათა როგორც სანიმუშო ბრძანება. პარტიებისა და ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ ამ ბრძანების აზრი ის არის, რომ ხელი შეუშალოს მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინებას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, კისრულობს რა ამ ბრძანებიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულებას, თანმიმდევრულად განახორციელებს ამ დირექტივებს, რადგან ისინი შეესაბამებიან გერმანელი ხალხის ინტერესებს".

აღნიშნა რა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს დასჯას დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისათვის, დემოკრატი პოლიტიკოსების მკვლელობის წაქეზებისათვის, რელიგიური და რასობრივი დევნისათვის, მილიტარისტული პროპაგანდისა, აგრეთვე ომის წაქეზებისათვის და თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებისათვის, გროტევოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვერ შეურიგდება ისეთ განვითარებას, როგორიც დასავლეთ გერმანიაში არსებობს. „იქ, — თქვა მან, — სასამართლოები მხარს უჭერენ აღორძინების პროცესში მყოფ ნეოფაშიზმს, რასაც მოწმობს გედლერის გამართლება. იქ იქმნება ყოფილ ნაცისტ გენერალთა კავშირები. დასავლეთ გერმანიაში წარმოებს საომარი მზადება და შოვინისტური დევნა, ყოველივე ეს ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას, რომელსაც ხელს აწერენ დასავლეთი სახელმწიფოებიც. ჩვენ არავითარ პირობებში არ დავუშვებთ ასეთ ან ამის ანალოგიურ განვითარებას.

კითხვაზე: „როგორ აფასებთ თქვენ საბჭოთა საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას იმ განვითარების მიხედვით, რასაც ადგილი აქვს დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში?" — გროტევოლმა განაცხადა:

„მაშინ როცა ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო სწრაფი ტემპით ხდება მთავრობისათვის ყველა სამმართველო და ადმინისტრაციული ფუნქციების გადაცემა, დასავლეთ გერმანიაში საწინააღმდეგო პროცესი ხდება. ბონის მარიონეტული მთავრობა ყოველდღე სულ უფრო კარგავს გარეგნულ დამოუკიდებლობასაც კი. მაგალითად, ამერიკის უმაღლესმა კომისარმა მაკკლოიმ ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ, საიდანაც ახალი დირექტივები ჩამოიტანა, 6 თებერვალს შტუტგარტში განაცხადა, ამერიკელთა „ჩაურევლობაც" დრომ განვლოო. ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი კომისიის ამერიკული ნაწილი ახლა აშკარად მისცემს ბრძანებებსა და მითითებებს ადენაუერის მთავრობას, მაშინ როცა დღემდე ცდილობდნენ ეს ფაქტი დაემალათ საზოგადოებრიობისათვის...

დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მათი მთავრობისათვის შემდგომი ფუნქციების გადაცემას მიიჩნევს გერმანელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის მზარდი ნდობის ახალ დადასტურებად, ნდობისა, რასაც გერმანელი ხალხი თავის დიდ ეროვნულ ბრძოლაში გაამართლებს".

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიას ამერიკის მონოპოლიების დიდი ვალი დაადო. უკვე 1949 წლის ბოლოს დასავლეთ გერმანიის „მთავრობას" ამერიკელმა კოლონიზატორებმა წარუდგინეს ანგარიში მარშალის გეგმით გაწეული „დახმარებისათვის" დასავლეთის 13,5 მილიარდი მარკის რაოდენობით. სულ კი დასავლეთ გერმანიას, დასავლეთ გერმანიის გაზეთ „დოიჩე ცაიტუნგ უნდ ვირტშაფტსცაიტუნგის" ცნობით, ამერიკისა მართებს 30 მილიარდი დასავლეთის მარკა. მაგრამ ეს ვალი კი არ მცირდება, არამედ დღითიდღე იზრდება.

დასავლეთ გერმანიის მრეწველთა ყველაზე შორსმჭვრეტელი წრეები მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ხედავენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან ვაჭრობაში. მაგრამ ამერიკელი მონოპოლისტები ყოველნაირად აბრკოლებენ ამ ვაჭრობის განხორციელებას.

თუ 1931 წელს გერმანიიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გატანილ იქნა 1.600 მილიონი მარკის საქონელი, 1948 წელს სულ გატანილია 30 მილიონი მარკის საქონელი. მოკავშირეთა უმაღლესი კომისიის იმ ბრძანების გამოცემის შემდეგ, რომელიც კრძალავს საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებათა დადებას, თუ ამის შესახებ სპეციალური ნებართვა არ იქნა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დასავლეთ გერმანიის სავაჭრო ბრუნვა უფრო მეტად შემცირდა. სავაჭრო ბრუნვა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის რვაჯერ შემცირდა. სტატისტიკის მონაცემები მოწმობენ დასავლეთ გერმანიის საგარეო ვაჭრობის გაუარესებას. უკვე გასული წლის დამლევს დასავლეთი გერმანია იძულებული გახდა ნაღდ დოლარებზე შეეძინა 26-ჯერ მეტი ამერიკული საქონელი, ვიდრე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი ვალის დასაფარავად მიჰყიდის.

თვით დასავლეთ გერმანიაში მზა ნაწარმის გაყიდვის შესაძლებლობა მეტად შეზღუდულია ამერიკული საქონლის მოზღვავების გამო. ჩერდება გერმანულ საწარმოთა მუშაობა. ყოველდღე ქუჩაში ერეკებიან 8.000-მდე მუშას.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 3 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ვიმა" გამოაქვეყნა პლასტირასის პარტიის მიერ პარლამენტის წევრობის კანდიდატებად დასახელებულთაგან ლარისიდან მიღებული დეპეშა.

„ქალაქ ფარსალის სამხედრო ხელისუფლებმა, — ნათქვამია დეპეშაში, — დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს ჩვენი პარტიის საარჩევნო კომისიის წევრები ევანგელოს კონდოპულოსი, თიანის პაპასტოლუ და ატანასოსი. უფრო მეტიც, ჩვენ შევიტყვეთ, რომ გენერალი ბეძოპულოსი (რომელიც ჯარების სარდალია თესალიაში და პასუხისმგებელია ამ ოლქში არჩევნების დროს წესრიგის უზრუნველყოფისათვის. — რედ.) ფარსალში ჩავიდა და ურჩია მოეკლათ კომისიის წევრი სოტირის განურისი და აღუთქვა მკვლელის გამართლების უზრუნველყოფა. ტერორი გამეფებულია ქალაქებსა და სოფლებში, იგი მიმართულია როგორც ჩვენი პარტიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ისე ამომრჩეველთა წინააღმდეგ. ასეთ პირობებში შეუძლებელია ნამდვილი და უდავო არჩევნების ჩატარება".

იგივე გაზეთი აქვეყნებს საბერძნეთის სოციალისტური პარტიის ცნობას იმის შესახებ, რომ გუშინ ქალაქ ჰერაკლიონში კუნძულ კრეტაზე პოლიციის ხელისუფალთა თვალწინ თავს დაესხნენ საბერძნეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელს სვოლოსს იმ მომენტში, როცა მას სიტყვა უნდა წარმოეთქვა ამომრჩეველთა წინაშე.

Ი. Ს. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თბილისში ჩამოვიდა [illegible] ოპერის ლაურეატი, [illegible] არტისტი ი. ს. კოზლოვსკი. [illegible] 3 მარტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის [illegible] ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში კოზლოვსკიმ მონაწილეობა მიიღო პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში". სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

5 მარტს ი. კოზლოვსკი მონაწილეობას მიიღებს შ. გუნოს ოპერა „ფაუსტში". იგი იმღერებს აგრეთვე მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვში", ჯ. ვერდის „ტრავიატაში", დ. როსინის „სევილიელ დალაქში" და კონცერტებში.

ᲐᲒᲘᲢᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲔᲑᲘ

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში საარჩევნო უბნებისა და აგიტპუნქტების კულტმომსახურებისათვის გამოჰყო აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც ამომრჩეველთათვის აწყობენ საღამო-კონცერტებს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში.

ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის ბრიგადამ და მუსიკალური ტექნიკუმის ახალგაზრდა მომღერლებმა უკვე გამართეს რამდენიმე კონცერტი.

აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გაყოფილია ორ ჯგუფად. მათ უკვე შეარჩიეს სპეციალური რეპერტუარი, რომლითაც მომსახურებას უწევენ აფხაზეთის რაიონებს და ქალაქებს. სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ბრიგადამ ამომრჩევლებისათვის საჩვენებლად მოამზადა მსუბუქი ჟანრის ვოდევილები.

Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

100.000 მანეთზე მეტია გამოყოფილი თბილისის მ. გორკის სახელობის პარკის კეთილმოწყობისათვის.

პარკში დიდი რაოდენობით დაირგვება მცენარეები, გაკეთდება გაზონები.

აქვე შენდება 700-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრი, მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის სასპორტო მოედნები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

სახელგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. 1949 წ., 583 გვ., ფასი 25 მან.

პ. მერიმე. რჩეული ნოველები და კომედიები. თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძისა და პ. ცაგარელისა. 1949 წ., 392 გვ. ფასი 16 მან.

რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები. ელენე ვირსალაძის რედაქციით. 1949 წ., 505 გვ., ფასი 18 მან.

სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. (1843-1895) თარგმნილი პროფესორ ფ. გოგიჩაიშვილის და შ. პაპუაშვილის მიერ 1949 წ., 594 გვ., ფასი 20 მან.

ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. შეადგინა ილია აბულაძემ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949 წ., 356 გვ., ფასი 16 მან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

5 ᲛᲐᲠᲢᲡ: ოპერისა და ბალეტის — „ლაშქარა" (დილით), „ფაუსტი" (საღამოს); **რუსთაველის სახელობის** — „პირველი ნაბიჯი" (დილით), „ლალატი" (საღამოს მე-10 აბ. მე-7 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „რომეო და ჯულიეტა" (დილით), „ფარული ომი" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „ფარული ომი" (დილას და საღამოს); **საქფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი; **სომხური დრამის** — „ჩაძირული ქვები" (დილით მოსწ. აბ. № 15), „ოტელო" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „სოფლის სამი საღამოები" (დილით), „თბილისის ცის ქვეშ" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „კომბლე" (48-ე აბ. 2 ს.), „ორი კაპიტანი" (57-ე აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „12 თვე" (107-ე აბ. 10-30 წ., 103-ე აბ. 2 ს.), „გორკის ბავშვობა" (8 ს.); **თოჯინების ქართული** — „მამლაყინწას თავგადასავალი" (11, 1, 4 ს.); **თოჯინების რუსული** — „ალიონუშკა" (11, 1, 3 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ № 598 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

აგიტპუნქტები ეწევიან დიფერენცირებულ მუშაობას, მეტ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. ყველა რაიონში მოეწყო ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრება.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მშრომელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა შემოქმედი დიდი ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის სტალინის სახელზე უფრო ძვირფასი სახელი არ არსებობს.

საბჭოთა ადამიანებს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს ამხანაგი სტალინი უყვართ იმისათვის, რომ მან ლენინთან ერთად შექმნა ახალი ტიპის პარტია — ლენინ-სტალინის პარტია; იმისათვის, რომ მან ლენინთან ერთად უზრუნველყო 1917 წლის ოქტომბერში კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის დამხობა და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა; იმისათვის, რომ მან ლენინთან ერთად უზრუნველყო საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვება სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში; იმისათვის, რომ მისი წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა; იმისათვის, რომ მისი წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში, ფაშისტური მონობის საფრთხისაგან იხსნა მთელი მსოფლიო; იმისათვის რომ ამხანაგ სტალინის გენიამ უზრუნველყო ევროპისა და აზიის ქვეყნებში დემოკრატიული რეჟიმის დამყარება; იმისათვის, რომ მისი წინამძღოლობით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს ომისშემდგომ პერიოდში.

საბჭოთა ადამიანებს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს ამხანაგი სტალინი უყვართ იმისათვის, რომ იგი ლენინია დღეს.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატებად დაასახელეს დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნაცადი ხელმძღვანელები ამხანაგები: ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. მ. შვერნიკი.

თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს თავიანთი სახელოვანი დეპუტატი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს და ისინი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა.

ამხანაგ ბერიას სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ამიერკავკასიის მშრომელთა შესანიშნავი გამარჯვებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგმა ბერიამ აღზარდა ნიჭიერი ხელმძღვანელები, რომლებსაც ამიერკავკასიის რესპუბლიკები წარმატებით მიჰყავთ გამარჯვებათა გზით.

განუზომელია ამხანაგ ბერიას დამსახურება ჩვენი სამშობლოს მტრების მხილებისა და განადგურების საქმეში.

დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომი მშენებლობის პერიოდში სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა ხალხს მგზნებარედ უყვარს ამხანაგი ბერია. მის სახელს სიყვარულით წარმოთქვამენ საბჭოთა კავშირის მშრომელები.

დიდი ბედნიერება ხვდა წილად ჩვენი საარჩევნო ოლქის მშრომელებს, რომლებიც მთელი ქართველი ხალხის სახელით აირჩევენ ამხანაგ ბერიას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ამხანაგ ბერიას ამ დიდ ნდობას ახალი წარმატებებით უპასუხებს ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქისა და საქართველოს ყოველი მშრომელი.

„პასუხად ამხანაგ ბერიას თანხმობისა — კენჭი იყაროს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში — მთელი ქართველი ხალხი უფრო მეტად დარაზმავს თავის ძალებს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად, უფრო მჭიდროდ დაირაზმება ბოლშევიკური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო" (კ. ჩარკვიანის სიტყვიდან ქ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მიტინგზე 1950 წლის 18 თებერვალს).

ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„მე ვფიქრობ, რომ საარჩევნო კამპანია არის ამომრჩეველთა მიერ კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, გასამართლება. ხოლო არჩევნების შედეგი ამომრჩეველთა განაჩენი იქნება".

სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს პარტია და საბჭოთა ხალხი ეგებებიან ბრწყინვალე გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

არჩევნების შედეგი გამანადგურებელი ლახვარი იქნება ახალი ომის გამჩაღებელთათვის, იმპერიალისტი მტაცებლებისათვის.

მომავალ არჩევნებში საბჭოთა ხალხი ცხადყოფს თავის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ლენინ-სტალინის პარტიისადმი და მისი ბელადის დიდი სტალინისადმი თავის უსაზღვრო ერთგულებას.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექცია წინადადებას აძლევს დაუსწრებელი განყოფილების ყველა სტუდენტს 6-დან 15 მარტამდე გაიარონ რეგისტრაციაში. თბილისში რეგისტრაცია იწარმოებს ინსტიტუტის შენობაში (სასწავლო შესახვევი № 2/4) ყოველდღე 17-დან 21 საათამდე; რაიონებში (ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, ჭიათურა და ტყიბული) — სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებში.

რეგისტრაციის დროს წარმოდგენილ უნდა იქნას:

1. სამსახურის ცნობა (გაცემული 1950 წ.) თანამდებობის და სპეციალობის აღნიშვნით;
2. ქვითარი 1949-50 სასწავლო წლის სწავლის ქირის გადახდის შესახებ. ვინც 15 მარტამდე რეგისტრაციაში არ გაივლის, მექანიკურად იქნება გარიცხული ინსტიტუტიდან.

მეუღლე სოფიო ფიცხელაური, და სოფიო ფალავანდიშვილი იუწყებიან **გიორგი გაბრიელის-ძე ფიცხელაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-III, 7 ს. გამოსვენება 7-III, 5 ს. კლარა ცეტკინის, 116.

შვილები რაფიელ, ბაბუცა, რძლები ნადია, ელენე, ნადია, შვილიშვილები ირა, ნანა და ბაადურ ქუთათელაძეები იუწყებიან **ეფროსინე მირაბის ასულ ქუთათელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III წყლულაძეში, ვოროშილოვის, 96.

ლენინის რაიონის მე-2 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **პარმენ ბესარიონის-ძე ჭახრაკიას** გარდაცვალებას, დაკრძალვა 5-III, ზაპესის, 63.

თამარ, დავით, გურამ, მზიანა ბარათელები, ლოლია, ბირდღი, თაკუ შელეგიები იუწყებიან **ოლია მარკოზის ასულ ინჯია-სურმავას** გარდაცვალებას, დაკრძალვა 9-III ს. ბომბოთში (ვეგეჭკორის რაიონი).

ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის და ქალაქის მეორე საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმები იუწყებიან **ნონა ივანეს ასულ ხალაძის** გარდაცვალებას.

კიროვის სახელობის ქარხნის დირექცია, პარტბიურო და საქარხნო კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებენ რ. ელენტს მისი მამის **ნესტორ მოსეს-ძე ელენტის** გარდაცვალების გამო.

ბაბუა კოსტა, ბებია დიკუ აბესაძეები, მამიდა თამარ ლეჟავა შვილებით ნუნუთი და ნოდარით იუწყებიან **კოტიკო აბესაძის** გარდაცვალებას.

ა. შენგელაძე, პ. ესაძე, გ. ცაგარეიშვილი, ლ. მაღლაფერიძე, თ. მათიაშვილი, ნ. იმედაძე, გ. აბგაროვა, დ. ლოლობერიძე, მ. ფიცხალეიშვილი, ტ. მაღლაფერიძე, გ. სანაძე, ი. მელქაძე, გ. შენგელია, ვ. მარკოსიანი, ი. ეგოროვი, ნ. ხუნდაძე და ლ. კოტრიკაძე იუწყებიან **სერგო ყარეგიშვილის** გარდაცვალებას.

გ. ჭოლოშვილი, ვ. მამასახლისოვი, მ. მირიანაშვილი, თ. ცხადაია, ე. ჭუბაბრია, მ. ძიძისტარაშვილი, დ. მხეიძე, პ. კოლონია, ა. ცინცაბაძე, შ. გაწერელია, თ. გვეტლია, ლ. ქარელი თანაგრძნობას უცხადებენ გივი კვარკველიას მისი მეუღლის **ნონას** გარდაცვალების გამო.

საქართველოს გზათა მთავარ სამმართველოში შემავალი ქუთაისის მეორე საგზაო-სამანქანო სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. სალაძეს მისი ბიძაშვილის **ნონას** გარდაცვალების გამო.

თბილისის რკინიგზის ვაჟთა № 7 სკოლის პედაგოგთა კოლექტივი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს მ. მატარაძეს მისი დედის **ლილოსის** გარდაცვალების გამო.

მშობლები დარეჯან, ივანე აბესაძეები, ბებია აგრაფინა, ბაბუა ვარლამ, ბიძები ბორის, ოთარ ბურჯანაძეები იუწყებიან პატარა **კოტე აბესაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III, ს. ზემო საზანოში (ჩხარის რაიონი).

მეუღლე ეკატერინე, შვილები დანიელ, მელენტი, რაფიელ, ვარლამ, მიხეილ, ფედოსი, მარო, ბაბილინა, რძლები ტასო, გოგონა, ბაბო, თინა, ლენა შვილებით იუწყებიან **ნესტორ მოსეს-ძე ელენტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-III ს. სამებაში (ჩოხატაურის რაიონი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ინგლისური სექტორის III კურსის სტუდენტები და პედაგოგიური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ გ. მჭედლიშვილს მისი დედის **ოლღა მელიქიძე-მჭედლიშვილის** გარდაცვალების გამო.

მარიამ, ვარლამ, ნათელა ჭრელაშვილები და ზურაბ ლამბაშიძე იუწყებიან **გიორგი ფიცხელაურის** გარდაცვალებას.

ნ. გორდაძე, პ. ფუტკარაძე, ს. გაჩეჩილაძე, ც. სვანიშვილი, მ. სიხარულიძე, ქ. სახეიშვილი, მ. გვანცელაძე, ი. კაკუშაძე, დ. ყიფიანი, ე. საყვარელიძე, თ. ახვლედიანი, გ. კილაძე იუწყებიან **პარმენ ბესარიონის-ძე ჭახრაკიას** გარდაცვალებას.

და აგრაფინა, დისწულები ლია, მილიცა, ლატუშა ბაბუნაშვილები, ძმისწული კატუშა მეუღლით თეიმურაზ კილურაძეები, სიძე გუგული ყიფიანი იუწყებიან **მარიამ ალექსანდრეს ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III ბათუმში, პიონერის, 27.

ი. თავართქილაძე, შ. ხუნდაძე, ს. კუკულავა, თ. მიქაძე, მ. მოძმანიშვილი, კ. ბერძენიშვილი, ვ. სხირტლაძე, ლ. ბოჯგუა, ქ. ზეიკიძე თანაგრძნობას უცხადებენ ილია ნოზაძეს მისი დედის **ეკატერინე ილარიონის ასულ ნოზაძის** გარდაცვალების გამო. გამოსვენება 7-III, 5 ს. პრავდის, 5.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00124